| სტრუქტურის
კოდი | დასახელება | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა | | | წინა
პერიოდის
ბრუნვა |
|---------------------------------------|--|-------------------------------|------------|------|----------------------------|
| | | საბიუჯეტო
სახსრები | არასაბიუჯე | სულ | |
| | | | ეტი | | |
| გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები | | | | | |
| 010 | საექვო მოთხოვნების ანარიცხების შემცირების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 020 | მატერიალური მარაგების ღირებულების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 030 | ძირითადი აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 040 | საინვესტიციო ქონების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 050 | არამატერიალური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 060 | შეღვათიანი მომსახურების აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 070 | ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 080 | სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 090 | ფინანსური აქტივების (გარდა დებიტორული დავალიანებებისა) გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები | | | | |
| 100 | სულ გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები | | | | |
| გაუფასურების ხარჯები | | | | | |
| 110 | საექვო/უიმედო მოთხოვნების ხარჯები | | | | |
| 120 | მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯები | | | | |
| 130 | ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარჯები | 8788 | | 8788 | |
| 140 | საინვესტიციო ქონების გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 150 | არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 160 | შეღვათიანი მომსახურების აქტივების გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 170 | ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 180 | სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 190 | ფინანსური აქტივების (გარდა დებიტორული დავალიანებებისა) გაუფასურების ხარჯები | | | | |
| 200 | სულ გაუფასურების ხარჯები | 8788 | | 8788 | |

შენიშვნა N17 საბუღალტრო ხარჯები

საღირებულო პოლიტიკები:

სააღრიცხვო პოლიტიკები: ხარჯები აერთიანებს საბუღალტრო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, საქონელსა და მომსახურებას, გრანტებს, გარე ტრანსფერებსა და სუბსიდიებს, სხვა ხარჯებს და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს, ცეცხლის და ამორტიზაციის ხარჯები, ხარჯები მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხვის მეთოდით აღიარდება.

N17 ა

| სტრუქტურის
კოდი | დასახელება | სააღრიცხვო პერიოდის ბრუნვა | | | წინა
სააღრიცხვე
პერიოდის
ბრუნვა |
|--------------------|--|----------------------------|---------------------------|---------|--|
| | | საბუღალტრო
სახსრები | არასაბუღალტრო
სახსრები | სულ | |
| 010 | შრომის ანაზღაურების ხარჯები | 6403414 | 8395 | 6411809 | 5559578 |
| 020 | საქონლისა და მომსახურების ხარჯები | 3517120 | 1705 | 3518825 | 3203529 |
| 030 | მ.შ.შ.ტ.ტ.ტ.ტ.ტ. შრომის ანაზღაურება | 135487 | | 135487 | 152366 |
| 040 | ოჯარის ხარჯები | 10800 | | 10800 | 9600 |
| 050 | მიწისფლობის ხარჯები | 13636 | | 13636 | 12730 |
| 060 | ცეცხლის და ამორტიზაციის ხარჯები | 3773730 | | 3773730 | 2407738 |
| 070 | ცეცხლის ხარჯი | 3773582 | | 3773582 | 2407591 |
| 080 | ამორტიზაციის ხარჯი | 148 | | 148 | 147 |
| 090 | შიდა ტრანსფერებით ხარჯები | 0 | | 0 | 0 |
| 100 | შიდა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები | | | 0 | 0 |
| 110 | შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები | | | 0 | 0 |
| 120 | სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა | 750898 | | 750898 | 544591 |
| 130 | სხვა ხარჯები | | | 0 | 0 |
| 140 | საპროცენტო ხარჯები | 7951 | | 7951 | 14782 |
| 150 | რენტის ხარჯები | | | 0 | 0 |
| 160 | ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები | 379791 | 0 | 379791 | 169101 |
| 170 | მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები | 351791 | 0 | 351791 | 146101 |
| 180 | მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გადართული
ოპერაციებით | 0 | 0 | 0 | 74448 |
| 190 | მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები არაგადაცემული
ოპერაციებით | 351791 | | 351791 | 71653 |
| 200 | კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები | 28000 | | 28000 | 23000 |
| 210 | კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გადართული
ოპერაციებით | | | 0 | 0 |
| 220 | კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები არაგადაცემული
ოპერაციებით | 28000 | | 28000 | 23000 |
| 230 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პრივილეგიის | | | 0 | 0 |
| 240 | გადაღებული აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | 2200 | | 2200 | 19814 |
| 250 | ძირითადი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | 2200 | | 2200 | 19814 |
| 260 | არამატერიალური აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | | | 0 | 0 |
| 270 | საინვესტიციო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | | | 0 | 0 |

| | | | | | |
|-----|--|----------|-------|----------|----------|
| 280 | სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი | | | | 0 |
| 290 | სულ | 14835104 | 10100 | 14845204 | 11919133 |

N17 ბ გრანტებით ხარჯები

| სტრუქტურის კოდი | დასახელება | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა | | | | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა | | | |
|-----------------|---|-------------------------------|------------|-----------------------|-----------|------------------------------------|-------|------------|-------|
| | | სამოუდურო სახსრები | | არასამოუდურო სახსრები | | მიმდინარე | სულ | კაპიტალური | სულ |
| | | მიმდინარე | კაპიტალური | სულ | მიმდინარე | | | | |
| 010 | ფულადი ფორმით | 145306 | 1340730 | 1486036 | | 16013 | 0 | | 16013 |
| 020 | უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული | | | 0 | | | | | 0 |
| 030 | საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული | 0 | | 0 | | 283 | | | 283 |
| 040 | სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | 145306 | 1340730 | 1486036 | | 15730 | 0 | | 15730 |
| 050 | იმვე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | 145306 | | 145306 | | | | | 0 |
| 060 | სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | 0 | 1340730 | 1340730 | | 15730 | 0 | | 15730 |
| 070 | სასაქონლო ფორმით | | 130837 | 130837 | | 0 | 32917 | | 32917 |
| 080 | უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული | | | 0 | | | | | 0 |
| 090 | საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული | | | 0 | | | | | 0 |
| 100 | სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | 0 | 130837 | 130837 | | 0 | 32917 | | 32917 |
| 110 | იმვე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | | | | | | | | 0 |
| 120 | სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული | | 130837 | 130837 | | | | 32917 | 32917 |
| 130 | სულ | 145306 | 1471567 | 1616873 | | 16013 | 32917 | | 48930 |

N17 გ

| სტრუქტურის
კოდი | დასახელება | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა | | | წინა
საანგარიშგ
ებო
პერიოდის
ბრუნვა |
|--------------------|---------------------------------|-------------------------------|---------------------------|-------|---|
| | | სამოუჯუქტო
სახსრები | არასამოუჯუქტო
სახსრები | სულ | |
| 010 | სუბსიდიები საჯარო კორპორაციებს | 0 | | 0 | 0 |
| 020 | არაფინანსურ საჯარო კორპორაციებს | | | | |
| 030 | ფინანსურ საჯარო კორპორაციებს | | | | |
| 040 | სუბსიდიები კერძო საწარმოებს | 35000 | | 35000 | 35000 |
| 050 | არაფინანსურ კერძო საწარმოებს | 35000 | | 35000 | 35000 |
| 060 | ფინანსურ კერძო საწარმოებს | | | | |
| 070 | სუბსიდიები სხვა სექტორებს | 27000 | | 27000 | 27000 |
| 080 | სულ | 62000 | | 62000 | 62000 |

შენიშვნა N19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან¹

| სტრუქტურის კოდი | საგადასახადო შემოსავლების დასახელება | საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა |
|-----------------|--|-------------------------------|------------------------------------|
| 010 | ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი | | |
| 020 | კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი | | |
| 030 | ქონების გადასახადი | 488255 | 461840 |
| 040 | დღგ | 10106390 | 9083383 |
| 050 | აქციზი | | |
| 060 | საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები | | |
| 070 | სხვა საგადასახადო შემოსავლები | | |
| 080 | სულ | 10594645 | 9545223 |

¹ ივსება შესაბამისი ერთეულების მიერ, საკასო შეთოდის შესაბამისად

შენიშვნა 21 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, სოციალური და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯამება (შედარება) ¹

| ბიუჯეტის შესრულების ანგარიში | | ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშება | | | ბიუჯეტის ნაშთისა და
წმინდა ფულადი სახსრებისა
და მათი ეკვივალენტების
ზრდის (შემცირების)
შეჯამება(შედარება) |
|------------------------------|-----------------------|---------------------------------------|-----------------------------|----------------------------|---|
| სტრუქტურის
კოდი | ბიუჯეტის
შესრულება | ბიუჯეტის
დასახელება | ფულადი სახსრები | ფულადი სახსრები | |
| | | | საოპერაციო
საქმიანობიდან | ფინანსური
საქმიანობიდან | |
| ბიუჯეტის შემოსულობები | | | | | |
| 010 | | ბიუჯეტის შემოსავლები | 19825864 | | |
| 020 | | გადასახადები | 10594645 | | |
| 030 | | გრანტები | 8902952 | | |
| 040 | | სხვა შემოსავლები | 328267 | | |
| 050 | | არაფინანსური აქტივების შემცირება | | 108098 | |
| 060 | | ფინანსური აქტივების შემცირება | | | |
| 070 | | ვალდებულებების ზრდა | | | |
| 080 | | სულ ბიუჯეტის შემოსულობები | 19933962 | | |
| ბიუჯეტის გადასახდელები | | | | | |
| 090 | | შრომის ანაზღაურება | 2548613 | | |
| 100 | | საქონელი და მომსახურება | 1917016 | | |
| 110 | | პროცენტი | 7951 | | |
| 120 | | სუბსიდიები | 5525006 | | |
| 130 | | გრანტები | 273363 | | |
| 140 | | სოციალური დახმარება | 741544 | | |
| 150 | | სხვა ზარჯები | 276686 | | |
| 160 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 9014185 | |
| 170 | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| 180 | | ვალდებულებების (ვალის) შემცირება | | | 40458 |
| 190 | | სულ ბიუჯეტის გადასახდელები | 20344822 | | |
| 200 | | ბიუჯეტის ნაშთი ² | -410860 | | -410860 |
| 210 | | ფულადი სახსრების ეკვივალენტები | | | 3723475 |

| | | | | | | |
|-----|--|--|--|---------|----------|---------|
| 220 | ბიუჯეტისა და ფულადი სახსრების კავშირულენტების მთლიანი ნაშთი | | | | | 3312615 |
| 230 | წმინდა ფულადი სახსრები საქმიანობის მიხედვით | | | | -8906087 | -40458 |
| 240 | ფულადი სახსრებისა და მათი კავშირულენტების წმინდა ზრდა (შემცირება) ³ | | | 8535685 | | -410860 |

¹ იმისგან მხოლოდ იმ ერთეულების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ ფულად სახსრებს

² ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ბიუჯეტის ნაშთისა და ფულადი სახსრების კავშირულენტების ჯამი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების კავშირულენტების წმინდა ზრდის (შემცირების) ტოლია.

³ აღნიშნული ტოლია ფინანსური აქტივების ზრდის გამრავლებული ფულადი სახსრების კავშირულენტები

ბიუჯეტის ფაქტობრივი საოპერაციო ნაშთისა და საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შექცევა (შეღარება)

| | |
|---|-----------------|
| ბიუჯეტის საერთო (მთლიანი) ნაშთი | 3312615 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა/(შემცირება) | -8906087 |
| ბიუჯეტის საოპერაციო ნაშთი | 8535685 |
| განსვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით | xxx |
| განსვავებები დროითი პერიოდის მიხედვით | xxx |
| განსვავებები ერთეულების მიხედვით | xxx |
| განსვავებები კლასიფიკაციის მიხედვით | xxx |
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 8535685 |

| სტრუქტურის კოდი | ფაქტობრივი თანხა შესადარის საფუძვლზე ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შეღარების ანგარიშგების მიხედვით | საოპერაციო საქმიანობა | საინვესტიციო საქმიანობა | ფინანსური საქმიანობა |
|-----------------|---|-----------------------|-------------------------|----------------------|
| 010 | განსვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით | | | |
| 020 | განსვავებები დროითი პერიოდის მიხედვით | | | |
| 030 | განსვავებები ერთეულების მიხედვით | | | |
| 040 | განსვავებები კლასიფიკაციის მიხედვით | | | |
| 050 | ფაქტობრივი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში | 8535685 | -8906087 | -40458 |

შენიშვნა N22 სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიები ¹

სააღრიცხვო პოლიტიკები:

მიუთითეთ ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

| სტრუქტურული კონსკოდ | აქტივები | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი | წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი |
|---------------------|--|--------------------------------------|---|
| 010 | ფულადი სახსრები ხაზინაში | 3312615 | 3723745 |
| 020 | სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ეროვნულ ვალუტაში | | |
| 030 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები ეროვნულ ვალუტაში | | |
| 040 | ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების სახსრები ეროვნულ ვალუტაში | 3312615 | 3723745 |
| 050 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების სახსრები ეროვნულ ვალუტაში | | |
| 060 | სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | | |
| 070 | ხაზინის სავალუტო ანგარიში | | |
| 080 | ფულადი სახსრების ექვივალენტები | | |
| 090 | სახელმწიფო ხაზინის მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები | | |
| 100 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები | | |
| 110 | ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები | | |
| 120 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანაბრებზე) ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრები | | |
| 130 | მიმდინარე ინვესტიციები | | |
| 140 | მოკლევადიანი სესხები | | |
| 150 | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | | |
| 160 | ფინანსური იჯაროდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი | | |
| 170 | მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | | |
| 180 | სხვა მიმდინარე ინვესტიციები | | |
| 190 | სხვა მოკლევადიანი აქტივები | 223977 | 1748774 |
| 200 | გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | | |
| 210 | გრძელვადიანი სესხები | | |
| 220 | ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში | | |

| | | | |
|-----|---|----------|----------|
| 230 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | | |
| 240 | გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები | 68415323 | 45992105 |
| 250 | ძირითადი აქტივები | | |
| 260 | საინვესტიციო ქონება | | |
| 270 | არამატერიალური აქტივები | | |
| 280 | შეღავათიანი მომსახურების აქტივები | | |
| 290 | ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივები | | |
| 300 | სხვა არაფინანსური აქტივები | | |
| 310 | სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი აქტივები | 71951915 | 51464624 |

| სტრიქონის კოდი | ვალდებულებები | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი |
|----------------|---|--------------------------------------|--------------------------------------|
| 010 | მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები | | |
| 020 | მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით | | |
| 030 | მოკლევადიანი (მიმდინარე) სესხები | | |
| 040 | გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 40458 | 40458 |
| 050 | გრძელვადიან ფინანსურ იჯარაზე გადასახდელების მიმდინარე ნაწილი | | |
| 060 | შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი | | |
| 070 | მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები | 93870 | 28658 |
| 080 | მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები | | |
| 090 | სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები | 1818678 | 1122425 |
| 100 | ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით | | |
| 110 | გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| 120 | გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით | | |
| 130 | გრძელვადიანი სესხები | 20229 | 60687 |
| 140 | გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური იჯარით | | |
| 150 | შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებით გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| 160 | გრძელვადიანი ანარიცხები | | |
| 170 | სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები | | |
| 180 | სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი მთლიანი ვალდებულებები | 1973235 | 1252228 |

| ქონის
კოდ | შემოსავლები | საანგარიშგებო
პერიოდის
ბრუნვა | საანგარიშგებო
პერიოდის
ბრუნვა |
|--------------|--|-------------------------------------|-------------------------------------|
| 010 | საგადასახადო შემოსავლები | 10594645 | 9545223 |
| 020 | შემოსავლები გრანტებით | 24188584 | 7439317 |
| 030 | სხვა შემოსავლები | | |
| 040 | საპროცენტო შემოსავლები | | |
| 050 | დივიდენდებიდან შემოსავლები | | |
| 060 | რენტიდან შემოსავლები | 229934 | 231337 |
| 070 | საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები | 36307 | 37318 |
| 080 | გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები | 108098 | 581855 |
| 090 | შემოსავლებიჯარიმებით, სანქციებით და საურავებით | 8497 | 12652 |
| 100 | შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული | 221590 | 125181 |
| 110 | შემოსავლები შიდა ტრანსფერებით | | |
| 120 | სხვა საოპერაციო შემოსავლები | | |
| 130 | კურსთაშორის სხვაობით და ფლობით მიღებული სხვა მოგება | | |
| 140 | სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული მოგება | | |
| 150 | სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი შემოსავლები | 35387655 | 17972883 |

| ქონის
კოდი | ხარჯები | საანგარიშგებო
პერიოდის
ბრუნვა | საანგარიშგებო
პერიოდის
ბრუნვა |
|---------------|---|-------------------------------------|-------------------------------------|
| 010 | შრომის ანაზღაურების ხარჯები | 3854801 | 3144854 |
| 020 | საქონლისა და მომსახურების ხარჯები | 2842643 | 2539554 |
| 030 | გრანტების და სუბსიდიების ხარჯები | 1659997 | 109253 |
| 040 | ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 3698923 | 2238002 |
| 050 | შიდა ტრანსფერებით ხარჯები | | |
| 060 | სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯები | 722407 | 533559 |
| 070 | სხვა ხარჯები | | |
| 080 | საპროცენტო ხარჯები | 7951 | 14782 |
| 090 | რენტის ხარჯები | | |
| 100 | ხარჯები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 233606 | 162141 |
| 110 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა | | |
| 120 | გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები | 2200 | 19814 |
| 130 | სხვა საოპერაციო ხარჯები | | |
| 140 | კურსთაშორის სხვაობით და ფლობით წარმოქმნილი სხვა ზარალი | | |
| 150 | სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ზარალი | | |

| | | | |
|-----|--|----------|---------|
| 160 | სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი ხარჯები | 13022528 | 8761959 |
|-----|--|----------|---------|

¹ აისახება სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები, აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხა

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების
2024 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობის აღწერა

საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ მუნიციპალიტეტის ორგანოები, ეს ორგანოებია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია: საკუთარი უფლებამოსილება და დელეგირებული უფლებამოსილება.

მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირები.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

მარეგულირებელი ნორმატიული აქტები

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

კონსოლიდირებული ერთეულების ჩამონათვალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსურ ანგარიშგებებს:

1. თიანეთის მუნიციპალიტეტი
2. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება
3. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მზრუნველობა მოკლებულთა უფასო სასადილო „მადლი“
4. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
5. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის „მუზეუმების გაერთიანება“
6. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების გაერთიანება“
7. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
8. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბი „თიანეთი“
9. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა
10. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის „კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური“
11. ა.(ა.)ი.პ. „თიანეთის წყალი“
12. ა.(ა.)ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის გაზეთი „თიანეთის მომავალი“

რესურსების განაწილება და გამოყენება

ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი (მათ შორის: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები) და არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული შემოსავლები. საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ხარჯები გაწეულ იქნა სამართლებრივი და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით - როგორც ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და გეგმის, ასევე, ვალდებულებების მოცულობის ფარგლებში.

ზოგადი განმარტება

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2024 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, ასევე, განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენებულია საკასო მეთოდი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია

ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ და არ ეწინააღმდეგება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ნაერთი ანგარიშგება მომზადებულია თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ეკონომიკური მოვლენა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (IPSAS) მოთხოვნილი შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელიც ახსნილია ქვემოთ.

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად:

IPSAS1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

IPSAS 2 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

IPSAS 3 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები

IPSAS 4 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები

IPSAS 5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

IPSAS 9 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

IPSAS 12 მატერიალური მარაგები

IPSAS 13 იჯარა

IPSAS 14 ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

IPSAS 16 საინვესტიციო ქონება

IPSAS 17 ძირითადი აქტივები

IPSAS 19 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

IPSAS 20 დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

IPSAS 21 ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

IPSAS 23 შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები)

IPSAS 24 ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში

IPSAS 26 ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

IPSAS 31 არამატერიალური აქტივები

IPSAS 32 შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი

IPSAS 34 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

IPSAS 35 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

IPSAS 36 მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობაში ინვესტიციები

IPSAS 37 ერთობლივი შეთანხმებები

IPSAS 39 დაქირავებულთა სარგებელი

ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციები წარმოადგენენ ფუნქციონირებად ერთეულებს და პროგნოზირებად მომავალში არ იგეგმება მათი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას
- ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას
- დ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას
- ე) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას
- ვ) განმარტებით შენიშვნებს.

განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია როგორც ცხრილების, ასევე, ტექსტური, ინფორმაციის სახით, რომელშიც განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ კომპონენტებში მოცემული ინფორმაცია. აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებში, თუმცა, საჭიროა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის უკეთ გასაგებად.

ანგარიშგების თარიღი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების თარიღია 2024 წლის 31 დეკემბერი.

საანგარიშგებო პერიოდი

კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საანგარიშგებო ვალუტა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

საადრიცხო პოლიტიკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის შესახებ ინფორმაციას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიეთითება როგორც საანგარიშგებო წლის ფინანსური მონაცემები ასევე, საანგარიშგებო წლის წინა წლის ფინანსური მონაცემები.

აქტივები

აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიან აქტივების სახით.

მოკლევადიან აქტივად მოიაზრება აქტივი, თუ

ნავარაუდევია მისი ღირებულების რეალიზება ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;

ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;

ნავარაუდევია მისი ღირებულების რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვისგანმავლობაში;

აქტივი არის ფულადი სახსრები ან მისი ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი განიხილება გრძელვადიან აქტივად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ბანკის ერთიან ანგარიშზე არსებულ ფულს (ბანკის მონაცემების შესაბამისად), ასევე, საკუთარ სახსრებს(ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად).

მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებში წარმოდგენილია ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით. საქონლის და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები, თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნები, არაფინანსური აქტივების გასვლასთან დაკავშირებული მოკლევადიანი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება IPSAS 12-ის „მატერიალური მარაგები“- შესაბამისად. მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია თვითღირებულებით (თვითღირებულების გაანგარიშების ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციის მოდელის მიხედვით), მაშინ როდესაც მათი შეძენა ხდება გაცვლითი

ოპერაციის გზით, ან წარმოადგენს ერთეულის წარმოების შედეგს. იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური მარაგები შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას მატერიალური მარაგების ღირებულება შეიძლება განისაზღვროს გადმომცემი ერთეულის მიერ აღნიშნული მატერიალური მარაგების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით., ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით. თვითღირებულებაში შეტანილია შესყიდვის ყველა დანახარჯი, კონვერსიის დანახარჯები და სხვა დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მატერიალური მარაგების მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მატერიალურ მარაგებში ასახულია წარმოების პროცესში გამოსაყენებელი ნედლეული და მასალები, ასევე, ერთეულის მიერ სხვა მხარეებისთვის უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით განაწილების მიზნით წარმოებული ან შესყიდული საქონელი. შესაბამისად, მატერიალური მარაგები მოიცავს ნედლეულსა და მასალებს, დაუმთავრებელ წარმოებას, მზა პროდუქციას, გასაყიდად ფლობილ საქონელს, სტრატეგიულ მარაგებს, სამხედრო მარაგებს და სხვ. ასევე, მცირეფასიან აქტივებს - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარსა და მოწყობილობას, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოსკანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს, კერძოდ, არ წარმოადგენენ 500 ლარზე მეტი ღირებულების აქტივებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ხდება მათი გამოყენება.

ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგები ასახულია:

თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, როდესაც ისინი განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად ან უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებელი საქონლის წარმოების პროცესში

გამოსაყენებლად. ან

თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, იმ შემთხვევაში, როდესაც თვითღირებულება აღმოჩნდება უფრო მეტი, ვიდრე მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება ან ნეტო სარეალიზაციო ღირებულება შესაბამისად, აღიარებულია ღირებულების შემცირების ხარჯი, შესაბამისი მატერიალური მარაგის აკუმულირებულ ღირებულების შემცირებასთან ერთად.

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებში მოიაზრება წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიანი მოთხოვნები როგორც საქონელთან და მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოსაწოდებლად და სხვა წინასწარ გადახდილი გადასახდელი (გრანტი, სუბსიდია).

ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება IPSAS 17-ის - „ძირითადი აქტივები“-შესაბამისად.

ძირითადი აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ ძირითადი აქტივის შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით.

არაგაცვლითი ოპერაციებით ძირითადი აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, ძირითადი აქტივების შეფასება დასაშვებია გადმოცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და ისეთ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის ძირითადი აქტივების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება ცვეთის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება. ძირითად აქტივს ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ

აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები. ცვეთის დარიცხვა იმ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადები ზემოაღნიშნული ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული, წარმოებს ერთგვაროვან (ანალოგიურ) აქტივებზე არსებული სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება გასაყიდად გამიზნულ აქტივებს, დაუმთავრებელ მშენებლობას, მიწას, ასევე, აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა და ანგარიშგებაში ასახვა ხორციელდება IPSAS 31-ის - „არამატერიალური აქტივები“ - შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით - მაშინ, როცა აღნიშნული აქტივი შეძენილია გაცვლითი ოპერაციის გზით ან სამართლიანი (რეალური) ღირებულებით, თუ არამატერიალური აქტივის შეძენა ხდება არაგაცვლითი ოპერაციის გზით. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივების შეფასება დასაშვებია გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით, ხოლო სხვა ერთეულებიდან მიღების შემთხვევებში - მოცემული აქტივის სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს: მისი შესყიდვის, ასევე აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეულ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ანგარიშგების თარიღისათვის არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით - თავდაპირველი ღირებულება ყოველწლიურად მცირდება ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხებით. შემდგომი დანახარჯები, როგორც წესი, აღიარდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დანახარჯების გაწევის შედეგად იზრდება/უმჯობესდება აქტივის მწარმოებლურობა ან/და ფუნქციონალურობა. კერძოდ, განახლების, რეკონსტრუქციის ან გაფართოების სამუშაოების შედეგად თუ მნიშვნელოვნად იზრდება აქტივის საწარმოო სიმძლავრე, უმჯობესდება ხარისხი ან ხანგრძლივდება არსებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, აღნიშნული სამუშაოები განიხილება არსებით გაუმჯობესებად და მასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის შესაბამისად, აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაცო) ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ მოცემული სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის შესაბამისი წესები. აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ამორტიზაცია არ ერიცხება ისეთ

აქტივებს, როგორებიცაა გასაყიდად გამიზნული აქტივები, ასევე, აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული.

ვალდებულებები

ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ვალდებულებები ითვლება მოკლევადიანად (მიმდინარედ), თუ იგი ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს:

მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან ერთეულს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან ვალდებულებებს, გრძელვადიან ვალდებულებებად განიხილება.

მოკლევადიანი ნასესხები თანხები

მოკლევადიანი ნასესხები თანხების სახით ასახულია თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი.

მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებულ კრედიტორულ დავალიანებებს, საგადასახადო კრედიტორულ დავალიანებებს, თანამშრომლებთან დაკავშირებულ გადასახდელებს, საქონელსა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით კრედიტორულ დავალიანებებს, გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებებს და სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს. მოკლევადიანი საგადასახადო კრედიტორული დავალიანებები მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს გადასახადების სახეების მიხედვით. თანამშრომლებთან დაკავშირებული მოკლევადიანი გადასახდელები აერთიანებს თანამშრომლების მიმართ სხვადასხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს, მათ შორის, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებით და სხვ. საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებში ასახულია ისეთი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების მოწოდებას. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები აერთიანებს სხვადასხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის (მათ შორის, ძირითადი აქტივის, არამატერიალური აქტივის და ა.შ) მოწოდებასთან დაკავშირებულ მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებს. სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებებში ასახულია ისეთი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომელთა ასახვა არაა გათვალისწინებული მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე.

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ისეთ მოკლევადიან ვალდებულებებს, რაც უკავშირდება ავანსად მიღებულ შემოსავლებს. კერძოდ, არასაგადასახადო შემოსავლებს (გრანტებს და სხვა არაგაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლებს და სხვა არასაგადასახადო შემოსავლებს). ასევე გაცვლითი ოპერაციებიდან ავანსად მიღებულ შემოსავლებს.

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიან ვალდებულებებზე განხილულია ყველა ის ვალდებულება, რაც არ წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას.

გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიან სესხის სახით ასახულია თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული გრძელვადიანი სესხი.

წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელშიც გაანგარიშებულია აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის გაანგარიშებაში მონაწილეობს გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი. გაუნაწილებელ ნამეტსა და დეფიციტზე გავლენას ახდენს ასევე კაპიტალის კორექტირებები, რაც გამოწვეულია სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებით და პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშებით.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები და გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი და დეფიციტი.

შემოსავლები

შემოსავლები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ საგადასახადო შემოსავლებს, სანქციებს, ჯარიმებს, საურავებს, გრანტებს და გარე ტრანსფერებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია ისეთი შემოსავლები, როგორებიცაა შიდა ტრანსფერები, გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები (აქტივების გაყიდვებიდან ნამეტი) და სხვა შემოსავლები.

საგადასახადო შემოსავლები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს საგადასახადო შემოსავლებს, გადასახადების სახეების მიხედვით, რომელთა გაანგარიშება და მიღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდის შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს დარიცხვის მეთოდით აღრიცხვასთან დაკავშირებით IPSAS 23 სტანდარტის გადახრას, რაც გამოიყენება IPSAS სტანდარტების დანერგვის გარდამავალ პერიოდში, ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე.

სანქციები, ჯარიმები და საურავები

აღნიშნული კატეგორია აერთიანებს შემოსავლებს ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით. მინიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებადი სანქციები, ჯარიმები და საურავები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ხოლო სხვა დანარჩენი საკასო მეთოდით ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე.

გრანტები

გრანტების სახით მიღებული შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, IPSAS 23-ის - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან. სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ გრანტებს როგორც მიმდინარე, ისე, კაპიტალური სახით, ფულადი და სასაქონლო ფორმით.

ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები

ტრანსფერებით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, IPSAS 23-ის - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები) - შესაბამისად. აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიმდინარე სხვა

არაკლასიფიცირებულ შემოსავალს(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო) ასევე კაპიტალურ ტრანსფერებს კერძო არამომგებიანი ორგანიზაციებიდან, საწარმოებიდან როგორც ფულადი შემოწირულობების, ასევე, არაფულადი საჩუქრების სახით. ამ კატეგორიაში აღირიცხება ასევე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან.

გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები

მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებადი გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, IPSAS 9-ის - შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან - შესაბამისად, ხოლო სხვა დანარჩენი აღირიცხება საკასო მეთოდით. გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლები მოიცავს გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან ნამეტს, და გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებულ სხვა შემოსავლებს. არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ნამეტი მოიცავს არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით წარმოქმნილ ნამეტს. გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული სხვა შემოსავლები მოიცავს საქონელისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და რენტიდან მიღებულ შემოსავალს.

ხარჯები

ხარჯები აერთიანებს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს, საქონელსა და მომსახურებას, გრანტებს, გარე ტრანსფერებსა და სუბსიდიებს, სხვა ხარჯებს და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებს, საოროცენტო ხარჯების, გაუფასურების ხარჯებს და სხვა ხარჯებს.

შრომის ანაზღაურების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს შტატით მომუშავეთა ხელფასს, ფულადი ჯილდოს და დანამატს. აქვე აისახება შტატით მომუშავის კუთვნილი შვებულების ანაზღაურებაც.

საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებებს, მივლინებებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ოფისის ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯებს კვებისა და სამედიცინო ხარჯებს, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს, და სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებს.

გრანტები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ფულად და სასაქონლო გრანტებს საერთაშორისო ორგანიზაციებზე და სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებზე გაცემულ მიმდინარე გრანტებს.

სუბსიდიები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სხვა სექტორებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერებს.

ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერებს გაცვლითი და არა გაცვლითი ოპერაციებიდან. ფიზიკურ პირებზე კერძო არამომგებიან ორგანიზაციებზე.

ცვეთის და ამორტოზაციის ხარჯები

ცვეთის ხარჯი აერთიანებს ცვეთადი აქტივების (ძირითადი აქტივების) ცვეთადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს არამატერიალური აქტივების ამორტიზირებადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები

დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებით ხარჯებს, ასევე სხვა სოციალურ დახმარებებით ხარჯებს.

საპროცენტო ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის ხარჯს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია პირდაპირი მეთოდით. პირდაპირი

მეთოდი გულისხმობს ანგარიშგების თარიღისათვის ფულადი სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ, ასევე, ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ სააღრიცხვო მონაცემებზე ინფორმაციის წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება ასახავს წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებებს საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულ ანგარიშგებაში თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა:

წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის შესახებ;

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რესტროსპექტული გამოყენებით ან/და წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების რესტროსპექტული გადაანგარიშებით გამოწვეულ კაპიტალის ზრდას/კლების; კორექტირების ერთჯერადი გადაფასების შედეგად; კორექტირებებს კაპიტალის სხვა ცვლილების შედეგად. წმინდა აქტივების/კაპიტალის გადაანგარიშების შედეგად მიღებულ საწყისი ნაშთის შესახებ; წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კაპიტალში შენატანებით, კაპიტალის ამოღებით, რეზერვების ზრდა კლებით, პერიოდის ნამეტი დეფიციტით, მესაკუთრებისათვის გასანაწილებელი თანხებით; წმინდა აქტივების/კაპიტალის საბოლოო ნაშთის შესახებ.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია IPSAS 24-ის „ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში“- მოთხოვნების შესაბამისად. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში ბიუჯეტის „გეგმური“ და „ფაქტობრივი“ მონაცემები საკასო მეთოდის შესაბამისად.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებში წარმოდგენილია შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკე დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიზნებისთვის, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს საბიუჯეტო წლის მანძილზე მოსალოდნელ საბიუჯეტო შემოსულობებს და გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ. საბოლოო(დაზუსტებული) ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო პერიოდში ერთეულის ან ლონისძიების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას.

დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, გაკეთდა ანალიზი თითოეული ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია თიანეთის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული ზემოთ აღნიშნული ა(ა)იპ - ების სრული კონსოლიდაციით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერი



5 

/ლ. წიკლაური/

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო

აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი ქ. ჟიკაძე/13.5-1/მ. მოკვერამილი/